

სეხსტატი – გზამკვლევი კომერციული ბანკებისათვის

მუხლი 1. ტერმინთა განმარტება

ამ დანართში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობები:

- ა) ატრიბუტი – სტატისტიკური მონაცემის სტრუქტურის შემადგენელი ნაწილი, რომელიც რაოდენობრივად ან ღირებულებით გამოსახულებაში აღწერს მოცემულ მონაცემს;
- ბ) გარე მომხმარებელი – კომერციული ბანკის თანამშრომელი, რომელიც მუშაობს სეხსტატის გარემოში მონაცემთა გენერაციაზე, ატვირთვაზე ან/და მონაცემთა გამოყენებაზე, აგრეთვე საქართველოს ეროვნული ბანკის (შემდეგში – ეროვნული ბანკი) სტატისტიკური მონაცემების ნებისმიერი მომხმარებელი, რომელიც არ არის ეროვნული ბანკის თანამშრომელი;
- გ) გასაღები – კონკრეტული სტატისტიკური მონაცემის მაიდენტიფიცირებელი კოდი;
- დ) დუბლირებული გასაღებების კონტროლი – კონტროლის ტიპი, როცა სისტემა ამოწმებს, რომ არ მოხდეს ზუსტად ერთნაირი პარამეტრების მქონე მონაცემის ატვირთვა კომერციული ბანკის მიერ. ასეთი მონაცემები წარმოდგენილ უნდა იქნეს ერთ გასაღებად, ჯამის სახით;
- ე) კოდე ლისტი (CodeList) – სეხსტატის ამა თუ იმ მონაცემთა ოჯახის მონაცემთა იდენტიფიცირების მიზნით შექმნილი კლასიფიკატორი. თითოეულ მონაცემთა ოჯახში გამოიყენება იმდენი კლასიფიკატორი (CodeList), რამდენ თანრიგთანაც არის შესაბამისი მონაცემთა გასაღები;
- ვ) ლოგიკური კონტროლი – კონტროლის ტიპი, როცა მოწმდება სტატისტიკური მონაცემის გარკვეულ პარამეტრებს შორის ლოგიკური შესაბამისობა. მაგალითად, თუ რესპონდენტი კომერციული ბანკის კონტრაგენტი, სექტორების კლასიფიკატორის მიხედვით (CL_Sec), არის კომერციული ბანკი (S12210) ბანკი, მაშინ ამ უკანასკნელის საქმიანობის სახეობა, ეკონომიკური საქმიანობის სახეობების კლასიფიკატორის (CL_Nac) მიხედვით აუცილებლად უნდა იყოს „ფინანსური შუამავლობა“ (J0);
- ზ) მეწყვილე გასაღები – გასაღები, რომლის არსებობაც აუცილებლად გულისხმობს მსგავსი გასაღების არსებობას, მხოლოდ ერთი განსხვავებული პარამეტრით;
- თ) მნიშვნელობათა (value) კონტროლი – კონტროლის ტიპი, როცა მოწმდება სტატისტიკური მონაცემის მნიშვნელობის სისწორე, მაგალითად, წინა საანგარიშო პერიოდთან შედარებით, ზოგადი ტენდენციიდან „ამოვარდნის“ შემთხვევები და სხვ.
- ი) მომხმარებელი – პირი, რომელიც მუშაობს სეხსტატის მონაცემთა გენერაციაზე, ატვირთვაზე, დამუშავებაზე, გამოქვეყნებაზე ან/და მონაცემთა გამოყენებაზე. არსებობს შიდა და გარე მომხმარებელი.

კ) მონაცემთა ოჯახი – ერთგვაროვან სტატისტიკურ მონაცემთა ერთობლიობა. იგი გულისხმობს მონაცემთა მსხვილ გაერთიანებებს, მაგალითად, „ყოველთვიური ფინანსურ და სტატისტიკურ მონაცემთა ოჯახი“ (FIM Family), „ფულადი გზავნილების სტატისტიკურ მონაცემთა ოჯახი“ (MTR Family) და ა.შ. სებსტატში ამჟამად წარმოდგენილია მონაცემთა 5 ოჯახი, თუმცა, საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია ახალი ოჯახების დამატებაც.

ლ) შიდა მომხმარებელი – ეროვნული ბანკის თანამშრომელი, რომელიც მუშაობს სებსტატის გარემოში მონაცემთა დამუშავებაზე, გამოქვეყნებაზე ან/და მონაცემთა გამოყენებაზე.

მ) მსაზღვრელები – სტატისტიკური მონაცემის სტრუქტურის აღმწერი პარამეტრები (მაგალითად, ინსტრუმენტის ტიპი, მისი სტატუსი, ვადიანობა, რესპონდენტი ბანკის კონტრაგენტის რეზიდენტობა და ა.შ.);

ნ) პაკეტის სტატუსი – განისაზღვრება ატვირთული ფაილის ხარისხის მიხედვით და მინიჭებული აქვს სისტემის მიერ, სტატუსი:

ნ.ა) ახალი;

ნ.ბ) დადასტურებული;

ნ.გ) დაწუნებული;

ო) შეტყობინებების სერვისები – ეროვნულ ბანკსა და კომერციულ ბანკებს შორის სებსტატის შეუფერხებელი ფუნქციონირებისათვის საჭირო შეტყობინებების ავტომატური მიმოცვლის სერვისები;

პ) წყვილების კონტროლი – კონტროლის ტიპი, როცა მოწმდება არსებობს თუ არა ფაილში გარკვეული მსაზღვრელების მქონე გასაღების შესაბამისი მეწყვილე გასაღები, იმავე მსაზღვრელებით და განსხვავებული (მაგრამ შესაბამისი) ატრიბუტით. მაგალითად, თუ ფაილი მოიცავს 0.01 ლარიდან 1000.00 ლარამდე ვადიანი დეპოზიტის მოცულობას საბალანსო ღირებულებით (BV), მაშინ აუცილებლად უნდა არსებობდეს იგივე პარამეტრების (მსაზღვრელების) მქონე გასაღები ამავე ინტერვალში მოქცეული დეპოზიტების შესაბამისი ხელშეკრულებების რაოდენობის (QV) შესახებ.

ჟ) პაკეტი – საანგარიშო პერიოდის დამთავრების შემდეგ ეროვნული ბანკის მიერ დადგენილ ვადაში კომერციული ბანკი მიერ ეროვნულ ბანკში წარმოსადგენ მონაცემთა ოჯახი (FIM, FID, MTR, BPC, FEX).

მუხლი 2. პაკეტების ატვირთვისა და დადასტურების პროცედურები

1. კომერციული ბანკის მიერ პაკეტების ატვირთვა ხორციელდება სებსტატის ვებ-გვერდზე: <https://services.nbg.gov.ge/SebstatUploader/docs.aspx>

2. ატვირთული პაკეტის დადასტურება (მისი შესაბამისობის ხარისხის დადგენის შემდეგ) ხდება ეროვნული ბანკის თანამშრომლის მიერ. იმ შემთხვევაში, თუ ატვირთულ პაკეტში აღმოჩნდა შეცდომა, მაშინ ეროვნული ბანკის თანამშრომლის მიერ ხდება ამ პაკეტის დაწუნება და კომერციულ ბანკს ეძლევა შესაძლებლობა, ხარვეზის გამოსწორების შემდეგ, ხელმეორედ ატვირთოს პაკეტი.

3. პაკეტის ატვირთვის დადასტურება/დაწუნების შესახებ შეტყობინებას კომერციული ბანკი იღებს სპეციალური შეტყობინებების სერვისის მეშვეობით ამ დანართის მე-15 მუხლის შესაბამისად.

4. კომერციულ ბანკს ასევე შეუძლია გააკეთოს კომენტარი წერილობით, თუ პაკეტის ატვირთვისას დაფიქსირდება შეცდომები.

5. პაკეტის ატვირთვა შესაძლებელია იმდენჯერ, რამდენჯერაც ეროვნული ბანკი მისცემს ამის უფლებას კომერციულ ბანკს.

მუხლი 3. პაკეტების ატვირთვის განრიგი

1. კომერციული ბანკის მიერ პაკეტების ატვირთვა, FIM, MTR, BPC და FEX ოჯახების მიხედვით, ხდება არაუგვიანეს 10 რიცხვისა საანგარიშო თვის დამთავრების შემდეგ.

2. ყოველი საანგარიშო თვის დამთავრების შემდეგ 10 კალენდარული დღის ვადაში კომერციულ ბანკს უფლება აქვს ატვირთოს მხოლოდ საანგარიშო თვის შესაბამისი მონაცემთა პაკეტი.

3. კომერციული ბანკის მიერ FID ოჯახის მონაცემთა შესაბამისი პაკეტის ატვირთვა ხდება არაუგვიანეს მე-3 დღისა საანგარიშო საბანკო დღის დამთავრების შემდეგ.

4. მონაცემთა ოჯახების წარმოდგენის (ატვირთვის) თარიღებია:

ა) FIM მონაცემთა ოჯახი – არაუგვიანეს 10 რიცხვისა საანგარიშო თვის დამთავრების შემდეგ;

ბ) FID მონაცემთა ოჯახი – არაუგვიანეს საანგარიშო დღიდან მე-3 საბანკო დღის 11 საათისა;

გ) FEX მონაცემთა ოჯახი – არაუგვიანეს 10 რიცხვისა საანგარიშო თვის დამთავრების შემდეგ;

დ) MTR მონაცემთა ოჯახი – არაუგვიანეს 10 რიცხვისა საანგარიშო თვის დამთავრების შემდეგ;

ე) BPC მონაცემთა ოჯახი – არაუგვიანეს 10 რიცხვისა საანგარიშო თვის დამთავრების შემდეგ.

მუხლი 4. მითითებები პაკეტების ატვირთვისათვის

1. ამ მუხლში წარმოდგენილი მითითებები საერთოა მონაცემთა ყველა ოჯახისათვის.

2. მოთხოვნები ფაილის დასახელებისადმი შემდეგია:

ა) სიგრძე: 23 სიმბოლო, მაქსიმალური ზომა: 5 მბ;

ბ) ფაილის დასახელების ფორმატი: [Family]-[Source]-[Freq]-[PLD].xml. მაგალითი: FIM-BNB-MM-20120630.xml, FIM-BNB-MM-20120731.xml, ...აქ BNB ნაცვლად უნდა ეწეროს შესაბამისი ბანკის კოდი;

გ) Family – მონაცემთა ოჯახი; აქ: FIM (3 სიმბოლო);

დ) Source - მონაცემთა წყარო: ბანკის კოდი (3 სიმბოლო), "B" + "IBAN", მაგალითად BNB - ეროვნული ბანკი, BBS – ბაზისბანკი;

ე) Freq - სიხშირე (2 სიმბოლო); აქ: ყოველთვიური – MM;

ვ) PLD – PeriodLastDay, საანგარიშო პერიოდის ბოლო დღე (8 სიმბოლო, ციფრები);
თარიღის ფორმატი YYYYMMDD. მაგალითად, ყოველთვიური მონაცემებისათვის 2015 წლის ივნისში გვექნება 20150630;

ზ) გამყოფად ანუ სეპარატორად (separator) გამოიყენება “-“.

3. ფაილის ფორმატი უნდა იყოს XML; შესაბამისი XML სქემა შესაძლებელია ნახოთ სეხსტატის ვებ-გვერდზე, რუბრიკაში - „სებ-ის მოთხოვნები“.

4. მონაცემები ფაილში:

ა) XML ფაილში არის DataSet, რომელსაც ჰქვია Packet. მასში არის ორი ცხრილის მონაცემები: PacketInfo და PacketData;

ბ) PacketInfo ცხრილში უნდა იყოს ერთი ჩანაწერი. ცხრილის ველები და მათი მნიშვნელობები უნდა იყოს ასეთი:

ბ.ა) ID=1;

ბ.ბ) Family=FIM;

ბ.გ) Source=ბანკის კოდი “B” + “IBAN”;

ბ.დ) Freq=MM;

ბ.ე) SourceType=B ბანკი (სხვა ფინანსური ინსტიტუტის შემთხვევაში იქნება შესაბამისი სიმბოლო; მაგალითად, სადაზღვევო კომპანიის შემთხვევაში – I);

ბ.ვ) PeriodLastDay= საანგარიშო პერიოდის ბოლო დღე. მაგალითად 2014-06-30T00:00:00;

ბ.ზ) UploadDate = ატვირთვის თარიღი,

5. მე-4 პუნქტის „ბ.ვ“ და „ბ.ზ“ ქვეპუნქტების შემთხვევაში ორივე თარიღის ველში ფორმატია YYYY-MM-DDT00:00:00.

6. PacketInfo ჩანაწერის ნიმუში:

```
<PacketInfo>  
<ID>1</ID>  
<Family>FIM</Family>  
<Source>BNB</Source>  
<Freq>MM</Freq>  
<SourceType>B</SourceType>  
<PeriodLastDay>2014-06-30T00:00:00</PeriodLastDay>  
<UploadDate>2014-06-30T00:00:00</UploadDate>  
</PacketInfo>
```

7. PacketData ცხრილში უნდა იყოს ერთი ან მეტი ჩანაწერი. ცხრილის ველებს განსაზღვრავს FIM პაკეტი. პაკეტების განმარტებების ნახვა შესაძლებელია სეხსტატის ვებ-გვერდზე „კოდე ლისტებში“. ველების მნიშვნელობები უნდა იყოს შესაბამისი კოდე ლისტებიდან. დაცული უნდა იყოს ველების თანმიმდევრობა. ქვემოთ მოტანილია ამ ჩანაწერის ნიმუში:

```
<PacketData>  
<ID>1</ID>  
<PacketInfoID>1</PacketInfoID>
```

```
<Family>FIM</Family>
<Source>BNB</Source>
<Freq>MM</Freq>
<Ins>F02203</Ins>
<Sta>LI</Sta>
<Stfl>ST</Stfl>
<Mat>XXXX</Mat>
<Cur>GEL</Cur>
<Res>ZZ</Res>
<Sec>S14000</Sec>
<Nac>XX</Nac>
<Reg>ZZZ</Reg>
<Lop>XXXXXXXX</Lop>
<Loc>XXX</Loc>
<Rng>XX</Rng>
<Ir>000.0000</Ir>
<MType>BV</MType>
<PeriodLastDay>2014-06-30T00:00:00</PeriodLastDay>
<DataValue>129888.6100</DataValue>
</PacketData>
```

8. ID არის ჩანაწერის ნომერი და ის არ უნდა განმეორდეს ერთი პაკეტის ფარგლებში.

9. PacketInfoID=1 ეს არის PacketInfo ცხრილის ერთადერთი ჩანაწერის ნომერი, რომელიც 1-ის ტოლია. შემდეგი 17 ველი განსაზღვრავს გასაღებს.

10. PeriodLastDay იგივეა, რაც PacketInfo-ში.

11. DataValue არის გასაღების მნიშვნელობა, რომელიც არის რიცხვი (4 ათწილადი ნიშნის სიზუსტით FIM მონაცემთა ოჯახისათვის და 2 ათწილადი ნიშნის სიზუსტით - დანარჩენი ოჯახებისათვის).

12. პაკეტის ატვირთვისას მიმდინარე პროცედურები და მათი თანმიმდევრობა შემდეგნაირია:

ა) ფაილის დასახელების კონტროლი:

ა.ა) მომწოდებლის კოდის (ბანკის კოდის) კონტროლი (ფაილის დასახელებაში, packetInfo, packetData, მომხმარებლის ბანკი);

ა.ბ) თარიღის (PLD) კონტროლი (ფაილის დასახელებაში, packetInfo, packetData).

ბ) XML Schema-ის კონტროლი;

გ) კოდე ლისტების კონტროლი;

დ) გასაღების სტრუქტურის კონტროლი;

ე) გასაღების მნიშვნელობების კონტროლი.

13. ყველა ჩამოთვლილი კონტროლის საფეხურების გავლის შემდეგ იწყება ატვირთული პაკეტის ჩაწერა:

ა) პაკეტის ფაილის ჩაწერა ფაილ სერვერზე;

ბ) პაკეტის მონაცემების ჩაწერა მონაცემთა ბაზაში.

მუხლი 5. ფაილში მოცემული პარამეტრების ფაილის დასახელებასთან შედარება

ფაილის ატვირთვისას პროგრამა ამოწმებს შეესაბამება თუ არა ფაილის დასახელებაში მოცემული მნიშვნელობები: ოჯახი, ბანკი, სიხშირე, ანგარიშგების თარიღი XML ფაილში PacketInfo და PacketData ცხრილებში შესაბამის სვეტებში მოცემულ მნიშვნელობებს. სხვაობის აღმოჩენის შემთხვევაში ეკრანზე გამოდის შეტყობინება: *Err FirstPacketCtrl პაკეტი მონაცემები არასწორია!*

მუხლი 6. გასაღების სტრუქტურის კონტროლი

გასაღების სტრუქტურის კონტროლი ამოწმებს გასაღების სხვადასხვა თანრიგებზე მოცემული მნიშვნელობების ერთმანეთთან შესაბამისობას. ის შედგება ე.წ. IF და THEN პირობებისგან. განვიხილოთ მაგალითი:

Logic ID=19 - FIM - 9 - vp svr-1 A1 B1

[1 - 2][2 - 15]

IF (Ins=F02103, Stfl=ST)

THEN (Sta=AS, Mat=XXXX, Sec=XXXXXX, Cur=GEL, Cur=FRC, Res=XX, Nac=XX, Reg=XXX, Lop=XXXXXXX, Loc=XXX, Rng=XX, Ir=XXXXXX, MType=BV, MType=VC, MType=OC)

იგივე THEN პირობა აღნიშნავს შემდეგს:

(Sta=AS AND Mat=XXXX AND Sec=XXXXXX AND (Cur=GEL OR Cur=FRC) AND Res=XX AND Nac=XX AND Reg=XXX AND Lop=XXXXXXX AND Loc=XXX AND Rng=XX AND Ir=XXXXXX AND (MType=BV OR MType=VC OR MType=OC))

აგრეთვე არსებობს შეზღუდვები კონტროლი:

Logic ID=239

FIM - 239 - vpNot svr-1 A1 B1

IF (Ins=F03116)

THEN (Sec≠XXXXXX)

ანუ თუ Ins= F03116, მაშინ Sec სექტორის პარამეტრის კოდი გასაღებში არ უნდა იყოს XXXXXX.

მუხლი 7. კოდე ლისტის კონტროლი

1. კოდე ლისტის კონტროლი ამოწმებს გასაღების კონკრეტულ თანრიგზე მოცემული მნიშვნელობა არსებობს თუ არა შესაბამის კოდე ლისტში. ეკრანზე გამოდის მხოლოდ პირველი 200 შეტყობინება.

2. შეტყობინების მაგალითი და მისი აღწერა:

[[R=3][5|A1,10|S1120A,12|R0A]] [[R=9146][13|L083000]]

[[R=3][5|A1,10|S1120A,12|R0A]] ეს არის ერთი შეტყობინება.

[R=3] - PacketData ცხრილში ემთხვევა გასაღების ნომერს, ID-ის

[5|A1,10|S1120A,12|R0A]

5|A1 – მე5 თანრიგზე A1 მნიშვნელობა არასწორია.

10|S1120A – მე10 თანრიგზე S1120A მნიშვნელობა არასწორია.

12|R0A – მე12 თანრიგზე R0A მნიშვნელობა არასწორია.

მუხლი 8. დუბლირებული გასაღებების კონტროლი

1. XML ფაილი მოწმდება დუბლირებულ გასაღებებზე და მსგავსი გასაღებების აღმოჩენის შემთხვევაში გამოდის შემდეგი შეტყობინება:
FIM.BNB.MM.F02205.LI.ST.T182.USD.NN.S14100.XX.R13.XXXXXXX.XXX.D1.006.00.BV(4)(2,15,31,32)

2. გასაღების შემდეგ პირველივე ფრჩხილში მოცემული გასაღების მსგავსი გასაღებების რაოდენობაა მითითებული და მეორე ფრჩხილში კი მძიმით არის გამოყოფილი ამ გასაღებების ID-ები XML ფაილში.

მუხლი 9. წყვილების კონტროლი

წყვილების კონტროლი ამოწმებს ფაილში მეწყვილე გასაღების არსებობას. თუ კონტროლმა ვერ აღმოაჩინა მეწყვილე გასაღები, გამოდის შემდეგი სახის შეტყობინება:

CtrlGroupID = 22 DT = 9/10/2015 2:42:35 PM FileName = FIM-BNB-MM-20150831-20150910-121653.xml

Inverse ID=(22) Pair:[Loc]

წყვილების კონტროლი:

FIM.BNB.MM.F04000.AS.ST.T365.USD.GE.S14100.XX.R01.0111101.LN4.D3.008.00.BV:10000.00{LC4}

სადაც, Inverse ID=(22) არის კონკრეტული კონტროლის ID, რომლიც ვერ გაიარა XML ფაილმა; Pair:[Loc] - რომელი თანრიგის მიხედვით ეძებს მეწყვილეს.

FIM.BNB.MM.F04000.AS.ST.T365.USD.GE.S14100.XX.R01.0111101.LN4.D3.008.00.BV:10000.00{LC4} - ამ ჩანაწერში მოცემულია, რომ კონტროლმა იპოვა გასაღები *FIM.BNB.MM.F04000.AS.ST.T365.USD.GE.S14100.XX.R01.0111101.LN4.D3.008.00.BV*

და ვერ იპოვა

FIM.BNB.MM.F04000.AS.ST.T365.USD.GE.S14100.XX.R01.0111101.LC4.D3.008.00.BV

გასაღები, რომელიც აუცილებლად უნდა ყოფილიყო წარმოდგენილ მონაცემებში.

მუხლი 10. მნიშვნელობათა კონტროლი

მნიშვნელობათა კონტროლით ხდება მონაცემების სხვადასხვა ფორმულებით შემოწმება. თუ რა ფორმულა გამოიყენება, ეს მოცემულია კონტროლის შინაარსში. მაგალითად:

Control ID =1050

ვალიანი დეპოზიტების რანჟირება 0,1-1000 ლარის ჩათვლით.

0.1*F02205-LI-ST-GEL-D1- QV <= F02205-LI-ST-GEL-D1-BV

მუხლი 11. პაკეტების დადასტურება/დაწუნება

1. FIM ოჯახი:

ა) FIM ოჯახის პაკეტის დადასტურება/დაწუნების უფლებები განაწილებულია ეროვნული ბანკის რამდენიმე თანამშრომელზე, ბანკის ან ბანკების ჯგუფის შესაბამისად;

ბ) თითოეული თანამშრომელი ადასტურებს მისი პასუხისმგებლობის ქვეშ არსებული ბანკის ან ბანკების ჯგუფის მონაცემთა სისწორეს.

გ) მთლიანი პაკეტი დადასტურებულად ჩაითვლება მაშინ, თუ FIM ოჯახზე პასუხისმგებელი ყველა თანამშრომელი დაადასტურებს პაკეტის სისწორეს.

დ) თუ პაკეტს აქვს თუნდაც ერთი დაწუნება – იგი დაწუნებულად ითვლება. დაწუნების მიზეზების მითითება აუცილებელია.

ე) განმეორებითი დადასტურება მოითხოვს იგივე პროცედურას.

ვ) იგივე პროცედურას მოითხოვს დადასტურება, თუ ბანკმა მოითხოვა ადრე გაგზავნილი პაკეტის შეცვლა (შეცდომის აღმოჩენის შემთხვევაში).

2. FID ოჯახი:

ა) FID ოჯახის პაკეტის დადასტურება/დაწუნების უფლება მინიჭებული აქვს ეროვნული ბანკის ერთ თანამშრომელს;

ბ) თანამშრომელი ადასტურებს FID ოჯახის პაკეტის სისწორეს, ან იწუნებს მას შეცდომების აღმოჩენის შემთხვევაში და მიუთითებს დაწუნების მიზეზებს;

გ) პაკეტის განმეორებითი დადასტურება მოითხოვს იგივე პროცედურას;

დ) იგივე პროცედურას მოითხოვს დადასტურება, თუ ბანკმა მოითხოვა ადრე გაგზავნილი პაკეტის შეცვლა (შეცდომის აღმოჩენის შემთხვევაში).

3. MTR ოჯახი:

ა) MTR ოჯახის პაკეტის დადასტურება/დაწუნების უფლება მინიჭებული აქვს ეროვნული ბანკის ერთ თანამშრომელს;

ბ) თანამშრომელი ადასტურებს MTR ოჯახის პაკეტის სისწორეს, ან იწუნებს მას შეცდომების აღმოჩენის შემთხვევაში და მიუთითებს დაწუნების მიზეზებს;

გ) პაკეტის განმეორებითი დადასტურება მოითხოვს იგივე პროცედურას;

დ) იგივე პროცედურას მოითხოვს დადასტურება, თუ ბანკმა მოითხოვა ადრე გაგზავნილი პაკეტის შეცვლა (შეცდომის აღმოჩენის შემთხვევაში).

4. BPC ოჯახი

ა) BPC ოჯახის პაკეტის დადასტურება/დაწუნების უფლება მინიჭებული აქვს ეროვნული ბანკის ერთ თანამშრომელს;

ბ) თანამშრომელი ადასტურებს BPC ოჯახის პაკეტის სისწორეს, ან იწუნებს მას შეცდომების აღმოჩენის შემთხვევაში და მიუთითებს დაწუნების მიზეზებს;

გ) პაკეტის განმეორებითი დადასტურება მოითხოვს იგივე პროცედურას;

დ) იგივე პროცედურას მოითხოვს დადასტურება, თუ ბანკმა მოითხოვა ადრე გაგზავნილი პაკეტის შეცვლა (შეცდომის აღმოჩენის შემთხვევაში).

5. FEX ოჯახი

ა) FEX ოჯახის პაკეტის დადასტურება/დაწუნების უფლება მინიჭებული აქვს ეროვნული ბანკის ერთ თანამშრომელს;

ბ) თანამშრომელი ადასტურებს FEX ოჯახის პაკეტის სისწორეს, ან იწუნებს მას შეცდომების აღმოჩენის შემთხვევაში და მიუთითებს დაწუნების მიზეზებს;

გ) პაკეტის განმეორებითი დადასტურება მოითხოვს იგივე პროცედურას;

დ) იგივე პროცედურას მოითხოვს დადასტურება, თუ ბანკმა მოითხოვა ადრე გაგზავნილი პაკეტის შეცვლა (შეცდომის აღმოჩენის შემთხვევაში).

მუხლი 12. პაკეტების დადასტურება/დაწუნების პროცედურა თანამშრომლის არყოფნის შემთხვევაში

ეროვნული ბანკის თანამშრომლის არყოფნის შემთხვევაში პაკეტების დადასტურება/დაწუნების უფლება გადადის იმ თანამშრომელზე, რომელიც ცვლის ამ თანამშრომელს და რის შესახებაც ინფორმაცია არსებობს ეროვნული ბანკის თანამშრომლის პორტალზე.

მუხლი 13. განმეორებითი ატვირთვა

1. თუ კომერციულმა ბანკმა ერთხელ უკვე სცადა ატვირთვა და პაკეტი არ აიტვირთა, განმეორებითი ატვირთვა მოითხოვს დამატებით ნებართვას.

2. დამატებითი ატვირთვის ნებართვის მისაღებად კომერციული ბანკის ანგარიშგებაზე პასუხისმგებელი პირი უკავშირდება ეროვნული ბანკის მონეტარული სტატისტიკის განყოფილების შესაბამის თანამშრომელს და სთხოვს ატვირთვის ნებართვის ჩართვას.

3. სებსტატის მენეჯერი ეროვნულ ბანკში იღებს გადაწყვეტილებას კომერციული ბანკისათვის განმეორებითი ატვირთვის უფლების ჩართვის შესახებ, რის შესახებაც „შეტყობინებების სერვისი“ აცნობებს კომერციულ ბანკს.

მუხლი 14. კონტაქტების განახლება

1. სებსტატის შეუფერხებელი მუშაობის უზრუნველყოფის მიზნით, კომერციული ბანკი ვალდებულია მონაცემთა მომზადებასა და სისტემაში ატვირთვაზე პასუხისმგებელ სპეციალისტთა თანამდებობრივი გადაადგილების და/ან სამსახურიდან წასვლის შესახებ აცნობოს ეროვნული ბანკის მონეტარული სტატისტიკის განყოფილებას, შესაბამისი ცვლილებები შეიტანოს საკონტაქტო რეკვიზიტებში და ატვირთოს სისტემაში.

2. კომერციული ბანკის მხრიდან ამ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისი მოქმედების განხორციელების შემდეგ, ეროვნული ბანკის საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტი მოახდენს ბანკისათვის ახალი „მომხმარებლის სახელისა“ და „პაროლის“ გენერირებას და გაგზავნას.

მუხლი 15. შეტყობინების სერვისი

სებსტატში გამოიყენება შემდეგი შეტყობინებების სერვისები:

- ა) შეტყობინება-შეხსენება სებსტატის სისტემაში ფაილის ატვირთვის შესახებ (დადგენილ თარიღამდე 1 დღით ადრე);
- ბ) შეტყობინება-შეხსენება სებსტატის სისტემაში ფაილის ატვირთვის შესახებ (დადგენილი თარიღის გადაცილების მეორე დღიდან, სანამ ფაილი არ აიტვირთება);
- გ) შეტყობინება-შეხსენება სებსტატის სისტემაში შესწორებული ფაილის ატვირთვის შესახებ (შესწორებული ფაილის ატვირთვის დაგვიანების შემთხვევაში);
- დ) შეტყობინება სებსტატის სისტემაში ფაილის ატვირთვის შესახებ;
- ე) შეტყობინება სებსტატის სისტემაში ლოგიკური კონტროლების გავლის გარეშე ფაილის ატვირთვის შესახებ;
- ვ) შეტყობინება ფაილის შიდა კონტროლებზე გატარების შესახებ;
- ზ) შეტყობინება კომერციული ბანკის მიერ შიდა კონტროლების შედეგებზე გაკეთებული კომენტარის (კომენტარების) შესახებ;
- თ) შეტყობინება ფაილის დადასტურების სტატუსის შესახებ;
- ი) შეტყობინება ფაილის დაწუნების სტატუსის შესახებ;
- კ) შეტყობინება ფაილის ატვირთვის უფლების მინიჭების შესახებ;
- ლ) შეტყობინება ფაილის ატვირთვის უფლების გაუქმების შესახებ;
- მ) შეტყობინება სიახლეების შესახებ;
- ნ) შეტყობინება საკონტაქტო რეკვიზიტების განახლების შესახებ.